# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 65 სამშაბათი, 23 მარტი 1910 წ. № 65

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, ხაღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედ. არ ინახავს ... ხება ინახავს ერთის თვის განმავლობაში დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი ... N 12. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакция газ. „Дроеба".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## თამბაქოს ფაბრიკა ა. ენფიანჯიანცისა

ამით აუწყებს თავის მუშტარს, რომ ამ ჟამად ახალ მაშინების შეძენითა და ზედ-მეტ საათების სამუშაოს შემოღებით ფაბრიკა ამზადებს დღე-ღამეში

# 1.200.000

ამიტომ ეხლა საშუალება გვაქვს მომავალში თავის დროზე დაუგვიანებლად შევასრულოდ დაკვეთილი საქონელი.

ამასთან ფაბრიკა საჭიროდ სთვლის მიაქციოს პაპიროსის მწეველთა ყურადღება პაპიროს

25 ცალი 10 კაპ. **ეკსტრა** 15 ცალი 6 კაპ.

ეს პაპიროსები თავის განსაკუთრებულ თვისებით ბევრით განირჩევა ყველა სხვა პაპიროსებისაგან, რომლებიც კი მოიპოვება ბაზარზე. ამის დასამტკიცებელი ისიც არის, რომ ეს პაპიროსები მეტად ბევრი ვრცელდება პაპიროსის მწეველთა შორის. (3—გ.—1)



ფას—„თეთრი კვირა"—დაკლებით.

## ფას—„თ ე თ რ ი  კ ვ ი რ ა"—დაკლებით.

22, 23, 24, 25, 26, 27 მარტს. „თეთრი კვირა" მეტად ფას დაკლებით

წვრილ ვაჭრობის განყოფილება

## გ. მ. ჩილინგაროვისა

სასახლის ქუჩა.

| საზღვარ-გარეთის ბლუზები: | | საზღვარ-გარეთის იუბკები: | |
|---|---|---|---|
| ბატისტისა | 3 მ. 75 კაპ.-დან | ქვეშითა იუბკა ბატისტისა | 5 მ. 75 კაპ.-დან |
| არშიებისა | 5 მ. 50 კაპ.-დან | აბრეშუმისა | 7 მ. 75 კაპ.-დან |
| აბრეშუმისა | 6 მ. 75 კაპ.-დან | ალპაგა | 2 მ. 35 კაპ.-დან |
| ქალის საზღვარ-გარეთის ტანისამოსი: | | ზედა იუბკები: | |
| ბატისტისა | 12 მანეთიდან | შალისა | 4 მ. 75 კაპ.-დან |
| აბრეშუმის პანჯისა | 19 მანეთიდან | პიკისა | 5 მ. 75 კაპ.-დან |
| ტიულისა | 20 მანეთიდან | ტილოსი | 3 მ. 75 კაპ.-დან |

იყიდება აგრეთვე შარფები, აბგები, ქოლგები, ქამრები, წინდები, ხელთათმანები, ხელცახოცები, სირაქლემას ბოა, მარაო, ჟაკეტები კრუჟევისა და მოქსოვილი, სანგალის კრუჟევებით ნაკერი, ბატისტის კუპონები ბლუზებზე, ქალის თეთრეული. ყველა ეს საქონელი პარიზის ახალ სეზონისაა.

ფასი შესამჩნევად დაკლებულია. ტელეფონი № 850. (2—1048—2)

## ფას—„თ ე თ რ ი  კ ვ ი რ ა"—დაკლებით.

ფას—„თეთრი კვირა"—დაკლებით.


კნ. ნატალია გიორგის ასული და თ-დი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე ერისთავები და თავ. კონსტანტინე ტიმოთეს ძე ნაკაშიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ დღეს, 23 მარტს, პირველის—ძმის, მეორის—ბიძის და მესამის—პაპის სამსახურ გარეშე მყოფ პოლკოვნიკის

### თევდორე გიორგის ძე ნაკაშიძის

გარდაცვალების მეცხრე დღეს, გარდახდილი იქნება პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში. (1—204—1)


## ქართული თეატრი

შაბათს, 27 მარტს, 1910 წელს

## გრიგოლ რობაქიძე

წაიკითხავს ქართულად საჯარო ლექციას ამ თემაზე

## „რენესანსი მშვენიერებისა"

(შეხედულება ოსკარ უაილდის შემოქმედებისა)

პ რ ო გ რ ა მ მ ა  ლ ე ქ ც ი ი ს ა:

შესავალი.—ცხოვრება და შემოქმედება.—სიყვარული და უკვდავება.—მხატვრული სახე, როგორც სიმბოლო უკვდავისა და მარადისა—უაილდის ესთეტიური თეორია.—ზღაპრები უაილდისა.—დრამა „სალომე" (სიყვარული და სიკვდილი).—რომანი „დორიან გრეი" (ტრაგედია მშვენიერი სიცოცხლისა).—სულიერი დრამა უაილდისა. (თხზულება „De profundis") მნიშვნელობა უაილდისა.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე. (3—6.—2)



## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,

ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყ.- დ ... ხას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 სა...

გედევანიშვილი მ. ა. ნერ ... ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

ქარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ.,

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი გ ს. თვალის, ორშ., ... პარასკ. 2 2-ნახ. ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე

პაპოვი გ. ა ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე; 9—10 ს.

ხოსროევსკი გ. გ. ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა მელავათ. საფასურით. (200—6.—138).



**ექიმი** კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში. ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—6.—44

**ექიმი** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—394)

**ექიმი** ქუთაისში კ. თ. ტუშელაშვილი

იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ., კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—კვ.—1)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—88

**ექიმი** ქუთაისში ფ. ი. გასნევსკი

იღებს ავადმყოფებს შინაგან სნეულებათა და ბებიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. კაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—კვ.—13)

**ექიმი** გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჰლექიანებისა, ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—კვ.—31)

**ექიმი** ვასილ წერეთელი ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—145)

ქუთაისში

**კბილის ექიმი ა. ა. ბუტულოვისა**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულგარის პირდაპირ. 25—კვ.—4

**ექიმი** სპეციალისტი ქ. ქუთაისში გ. დ. ბეთანოვი

მიიღებს სიფილისით, ვენერიულის და კანის სენით ავადმყოფებს. აფთიაქის და კლუბის ქ. ქ. კუთხეში N 24/2 ყოველდღე დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. (25—ფ.—20)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—6.—129)

**ექიმი** ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** დ. ახვლედიანი

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.



პეტერბურგში აპრილიდან გამოვა ყოველთვიური სურათებიანი ჟურნალი

## „ЗАЩИТА ЧЕЛОВѢКА"

(ადამიანის დაცვა)

მონაწილეობას მიიღებს ლ. ნ. ტოლსტოი

პირველ ნომერში მოთავსებული იქნება კირიონ ეპისკოპოსის სურათი და სტატია ქუთაისის გიმნაზიაში მომხდარ ინციდენტის შესახებ.

ფასი წლიურად 1 მან. 50 კაპ., ექვსი თვით 80 კაპ. ხელის მოწერა მიიღება—Петербургъ, Бронницкая, N 13. Журналъ „Защита Человѣка."

(5—1) რედაქტორი მ. ბოლქვაძე.



## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მაღლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

რიდელი—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

პავლოცკი—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

ბოჟოვსკი—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

ნოვიცკი—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

ახვლედიანი—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

კალამქაროვი—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

ბალდინა-ნოვიცკაია—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.

ასპიროვი—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

ფანდილევი—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—6.—25)



## შპალერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

## ძმ. ტარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—3)



## სახაზინო თეატრი

სამშაბათს, 23 მარტს, საღამოს 8 საათზე პეტერბურგელი ლიტერატორი და ლექტორი

## ნ. ი. აბრამოვიჩი

წაიკითხავს პირველ ლექციას

## „თვითმკვლელობაზე"

(თანამედროვე ცხოვრებისა და სულის პსიხოლოგიიდან)

ეს ლექცია რამდენჯერმე წაკითხული მოსკოვსა, პეტერბურგსა და ნიჟნი-ნოვგოროდში და ყოველთვის დიდძალი საზოგადოება ესწრებოდა.

ადგილების ფასი ძალზე დაკლებულია.

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (2—6.—2)



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—301)



## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი

## ქ უ თ ა ი ს შ ი

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა,** მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისახ. (45—151—35)


## ნაწყვეტები

მწარე სინამდვილეს განვიცდით...

გადაავლეთ თვალი ჩვენს ეხლანდელ ცხოვრებას და დაინახავთ, თუ რაოდენად უნუგეშოა ეს სინამდვილე. ას წელზე მეტია, რაც მტრების მიერ ათასჯერ აოხრებულმა პატარა საქართველომ თავისი ბედი რუსეთს ჩააბარა და, საუბედუროდ, ღრმა ძილს მისცა თავი. თუ ეს ძილი წინად საშიში იყო, ეხლა ხომ არა თუ საშიში, პირდაპირ დიდი დანაშაულობაა, ვინაიდან სიკვდილს უქადის ქართველ ერს.

არასოდეს ამ ასი წლის განმავლობაში ქართველი ერის წინაშე არა ყოფილა ასე მწვავედ წამოყენებული ისეთი საკითხი, რომლის გადაწყვეტას ემოდენი მნიშვნელობა ჰქონდეს ქართველ ერისათვის და იმის მომავლისათვის. გვეკარგება ტერიტორია—ის საფუძველი, რომელზედაც დღეს-დღეობით ერი სდგას. ნაკუწ-ნაკუწად, ნელ-ნელა სჭრიან და სჭრიან და ერთ დროს მთლიანი სხეული ხვალ შეიძლება დაფლეთილად გადაიქცეს. ბუნებრივ განწყობილებაში დღეს პოლიტიკა გაერია და სცდილობს თავისი მძლავრი დაღი დააჩინოს და დააჩენს კიდეც, თუ რაიმე საშუალება არ ვიხმარეთ, თუ რაიმე ღონე არ ვიღონეთ.

ჩვენ კი გვძინავს... ისევ იმ ტკბილ ძილში ვართ, როგორშიაც ამ ასი წლის განმავლობაში ვიყავით. მხოლოდ ერთხელ იფეთქა ასი წლის განმავლობაში შენახულმა ენერგიამ, მაგრამ... მაგრამ მალე დაიხარჯა. ეხლა კი ისევ ჩვენებურად ძველებურად გვძინავს, და ეს ძილი კი შესაძლებელია სიკვდილის ძილად გადაგვექცეს მხოლოდ აქა-იქ გაისმის ძახილი: გვიშველეთ, ტერიტორია გვეღუპებაო, გაიღვიძეთ—საფრთხე მოგველისო... მაგრამ ეხლა ეს ძახილი მხოლოდ ძახილად—„ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა"—რჩება და ჩვენს მიწას ისევ ნაკუწ-ნაკუწად სჭრიან, ისევ ნაწილ-ნაწილად ყიდულობენ.

რანი ვიქნებით უტერიტორიოთ—ეს ყველასათვის ადვილი წარმოსადგენია. ქართველი ერი დაიღუპება, მიწიდან აღიგვება. არავინ მას არაფრად აღარ ჩააგდებს.

არა თუ მაშინ, ეხლაც არავინ არაფრად გვაგდებს. გაიხსენეთ ბ-ნ უსტინოვიჩის უსირცხვილო სიტყვები. თუ წინად თვით ექსარხოსისათვის, მღვდელ-მთავრისათვის, ქართული ენის გალანძღვა საფრთხილო იყო, დღეს ხომ ვიღაც ვითომდა პედაგოგმა, უბრალო პაიკმა, ჩვენი ენა პირუტყვების ენად მონათლა! და ყველა ეს შერჩა: მთავრობამ არც კი გადაიყვანა საქართველოდან ბ-ნი უსტინოვიჩი, ქართველი ენის პირუტყვების ენად მწოდებელი, ისევ უსირცხვილოდ მასწავლებლობს იმ სასწავლებელში, სადაც 90 პროცენტი მოწაფეებისა—ქართველები არიან, ისევ უსირცხვილოდ დასეირნობს იმ ქალაქში, სადაც 95 პროცენტი მცხოვრებლებისა ქართველები არიან.

კარგი სიმპტომი ვერ არის. ჩირადაც არავინ გვაგდებს, არავის ჩვენი შეურაცყოფა არაფრად მიაჩნია. იცის—შერჩება, იცის—ღრმა ძილში ვართ და ჩვენი გაღვიძება არც ასე ადვილია.

არამც თუ ამან, უფრო მწვავე და უფრო დიდმნიშვნელოვან საკითხებმა ვერ გამოგვაღვიძა, ვერ გამოაფხიზლა ჩვენი საზოგადოება. თუმცა ჰქაც კი გაიძახება—გახრ-

სას რომ მოუნდომებენ. მართალია პოეტის სიტყვები:

„გაზაფხულდა!.. მერე ჩვენ რა?!
სხვისთვის! ჩვენთვის არა ჯერა:
ტარტაროზის სასწორზეა
ჩვენი ქვეყნის ბედის წერა!“

**ახალი.**

# სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. ტელ. სააგენტ.)

## სამხედრო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვა.

20 მარტის სხდომაზე სათათბირომ მიიღო სამხედრო სამინისტროს სხვა და სხვა სამმართველოს ხარჯთაღრიცხვა. მიიღო ხარჯთ აღრიცხვები: საინტენდანტო გამგეობისა, მთავარ საარტილერიო გამგეობისა, საინჟინერო გამგეობისა, სამხედრო სასწავლებელთა გამგეობისა, ყაზახთა ჯარის გამგეობისა.

კამათი გამოიწვია მხოლოდ საინჟინერო გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვამ. ლაპარაკი იყო ჰაერში მფრენავ ფლოტზე. ორატორები ამბობდნენ—რუსეთმა უნდა უსათუოდ გაიჩინოს ასეთი ფლოტი, რომ მტერს მაგრა დაჰხვდეს.

**გრაფმა სტენბოკ-ფერმარმა** (ნაციონალისტი) მთელ საათს ილაპარაკა ამ თემაზე. ჰაერში საფრენ ფლოტის გაჩენა მთელი რუსეთის საქმეა და ამიტომ უნდა შესდგეს განსაკუთრებული დაწესებულება, რომელიც ამ საქმეს ხელმძღვანელობას გაუწევსო.

**სამხედრო მინისტრის თანაშემწემ** განაცხადა: მთავრობამ დიდი ხანია მაგ საკითხს ყურადღება მიაქცია და კიდეც შეუდგა მუშაობას. უკვე დამზადებულია ჰაერში საფრენები და მაისში პეტერბურგის მიდამოებში დაიწყება გამოცდა ჰაეროსტატებისა. სამხედრო სამინისტრო ამ საქმეში სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებთან ერთად მოქმედებს. მასალა რუსეთშივე მზადდება და მხოლოდ მოტორებს ვიწერთ საზღვარ-გარეთიდანაო.

მცირეოდენი კამათი გამოიწვია აგრეთვე სამხედრო სასწავლებელთა მთავარ-გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვამ. სხვათა შორის ვოლოდიმეროვმა განაცხადა, უნდა ვეცადნეთ სასწავლებლებში გავავრცელოთ სამხედრო სული და პატრიოტიზმიო.

# დეპეშები

(პეტერბ. ტელეგრ. სააგენტოსაგან)

21—22 მარტი.

## საზღვარ-გარედ.

**სტამბოლი.** გაზეთები ბევრსა სწერენ სერბიის მეფის ჩამოსვლის შესახებ. მათის აზრით ოსმალეთ-სერბიის მეგობრობის აღდგენა დიდ სიკეთეს მოუტანს ორივე მხარეს.

**სალონიკი.** უკანასკნელ დღეებში ყაჩაღთა შეიარაღებული ბრბოები რამდენიმე სოფელს დაეცნენ.

**ნიუკესტლი.** კომისიამ, რომელიც ნორტუმბერლანდის ოლქის ქვანახშირის მაღაროების პატრონთა და მუშათა საქმეს არჩევდა, დაადგინა, რომ მუშების სამუშაო ქირის $1^1/_4$ პროცენტი მოუმატოს. ამ რიგად 1879 წელთან შედარებით მუშების სამუშაო ქირას მოემატა $31^1/_4$ პროცენტი.

**ბუდაპეშტი.** „კორესპონდენტ ბიუროს“ სიტყვით ზაგრების პროცესის ბრალდებულებს სასჯელი შეუმსუბუქეს. დღეს ელიან ბრძანებას ძმების პრიბიჩევიჩების განთავისუფლების შესახებ.

**სტამბოლი.** იპეკიდან იუწყებიან: ალბანელმა, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა სიკვდილით დასჯა, დასჭრა მუტესარიფი ნაკი-ბეი, მოჰკლა ჟანდარმთა უფროსი დიუშტი-ბეი და მთებში გაიქცაო.

დღეს დეპუტატთა პალატას უნდა გაერჩია შეკითხვა სამხედრო სასამართლოების ბოროტმოქმედების შესახებ, მაგრამ დიდი ვეზირის თხოვნით შეკითხვის განხილვა ერთი კვირით გადასდო.

**სალონიკი.** რადგანაც ალბანიაში არეულობა არ ისპობა, ამიტომ ალბანიაში გაგზავნა არტილერისტთა ერთი რაზმი. სოფელ ტროიაკის ახლო რაზმს შეტაკება მოუვიდა ალბანელებთან. მოჰკლეს 7 ალბანელი, დაანგრიეს ორი კოშკი.

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას პროცესი. ჩვენება ჩამოართვეს პრილუკოვის მდივანს. ამ უკანასკნელის სიტყვით პრილუკოვი კარგად ექცეოდა თავის მოსამსახურეებს. ტარნოვსკაიასთან დაახლოვების შემდეგო, სთქვა მოწმემ, პრილიუკოვმა თავი მიანება საქმეებს, თუ აკეთებდა რასმე, იმასაც უგულოდ. ნაფიც-ვექილის მანკოვსკის მიერ წარმოდგენილი წერილები ტარნოვსკაიას ხელით არის დაწერილიო. ტარნოვსკაიამ ბევრჯერ შეეკითხა პეტერბურგიდან გამოწვეულ რიმკევიჩს, მაგრამ რიმკევიჩმა, ყველა კითხვებზედ განაცხადა: არ ვიცი, არ მახსოვსო. სასამართლოს სხდომა დახურულ კარებში მოხდება.

**ნიუ-იორკი.** „ნიუიორკ-სერალდ“-ს კაიენფიდან (შანსის პროვინცია) დეპეშით ატყობინებენ: ხაშხაშის პლანტაციების მუშებს და სალდათებს შეტაკება მოუვიდათ. მოკლულია 60 კაცი. დაჭრილთა რიცხვი ჯერ არ გამორკვეულა. შეტაკება გამოიწვია მთავრობის სასტიკმა ზომებმა ხაშხაშის დამუშავების წინააღმდეგ.

**სტამბოლი.** დილის 11 საათზედ ჩამოვიდა სერბიის მეფე. მეფეს სადგურზედ დაუხვდნენ სულთანი, მემკვიდრე და სხვანი. მისალმების შემდეგ მეფე და სულთანი ღია ეტლით მერასიმ-კიოსკში გაემგზავრნენ.

**კაირი.** პოლიციის სამართველოში ერთმა მთხოვნელმა რევოლვერი ესროლა პოლიციის უფროსს, მაგრამ უშედეგოდ. მსროლელი დააპატიმრეს, იგი აღმოჩნდა გერმანელი ებრაელი, რომელიც რამდენიმე ხნის წინად საიდუმლო პოლიციიდან დაითხოვეს.

**ათინა.** გენერალ სმოლენსკის გენერალისსიმუსობა მისცეს.

**ადენი.** სომალის მოლლა თავს დაეცა ადგილობრივ ერთ-ერთ თემს, მოჰკლა 800 კაცი, გაირეკა აუარებელი საქონელი და უკან დაბრუნდა.

## სპარსეთი

**ბერლინი.** გერმანიის ბანკი აცხადებს: ტყუილია ხმა, ვითომ ბანკისთვის სპარსეთში კონცესია მიეცეთ. ბანკმა იმიტომ გაგზავნა სპარსეთში თავისი წარმომადგენელი, რომ უნდა გაიგოს და გამოიკვლიოს თუ რა ეკონომიური პირობებია სპარსეთში. რამდენად შეუძლიან სპარსეთს რკინის გზის გასაყვანად მომუშავეებს საჭმელ-სასმელი მიაწოდოს. ამას გარდა ბანკის წარმომადგენელს დავალებული აქვს გაიგოს, გასაღდება თუ არა სპარსეთში საქონელი და თუ გასაღდება რამდენი.

**თავრიზი.** თავრიზის პოლიციას და თეირანელ ყაზახებს შეტაკება მოუვიდათ. დაიჭრა ერთი პოლიციელი. მეჩეთებში მქადაგებლები ხალხს უწოდებენ გაიღონ ფული შინაურ სესხისთვის და ქადაგებენ რუსის ჯარის წინააღმდეგ. შინაურ სესხის საქმე ცუდად მიდის, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა 12 პროცენტის გადახდას ჰპირდება მოვალეებს, თავის ნებით ფულს არავინ იძლევა. სათარ-ხანი და ბაგირ-ხანი ამ ჟამად ზენჯანში არიან.

**თეირანი.** სათარ-ხანი და ბაგირ-ხანი თეირანში რევოლიუციონერებმა გაიწვიეს. მათი რაზმი გზა-დაგზა უფრო გაძლიერდა, თუმცა მინისტრთა საბჭო სულ სხვა აზრისა იყო.

## ჰაერში ფრენა

**სან-სებასტიანი.** ფრანგი ავიატორი ლებლანი თავის ჰაეროპლანით ზღვაზედ გაფრინდა. დიდი ქარი ჰქროდა. ჰაეროპლანი კლდეს დაეჯახა. ლებლანი მოკვდა.

**ზასსნიცი.** დილით შტეტინში ჰაეროპლან „პომერნი“-თ გაფრინდა ოთხი კაცი. დიდი ქარის გამო ნაშუადღევს ჰაეროპლანი 500 მეტრი სიმაღლიდან ზღვაში ჩამოვარდა. ამოიყვანეს ორი კაცი, ერთი მკვდარი და ერთიც ფეხ-მოტეხილი. ორი კაცი, მათ შორის, დეპუტატი დელბლიუკი, უკვალოდ დაიკარგა. ჰფიქრობენ ორივენი დაიხრჩნენ.

**მურმელონ-ლეგრანი.** ავიატორი ეფრემოვი ახალ ჰაეროპლანის გამოსაცდელად რამდენჯერმე გაფრინდა. ეფრემოვი 150 მეტრის სიმაღლეზე ავიდა.

## რუსეთი

**ვოლოგდა.** საღამოს 9 საათზედ რეალურ სასწავლებლის მათემატიკის მასწავლებლის, ლირენკას სახლის კარებთან უცნობებმა დაავდეს ასაფეთქებელი ნივთიერება. არავინ დაშავებულა. გატყდა ფანჯრის ერთი შუშა.

**ირკუტსკი.** ჩამოვიდა სენატორი გლიშინსკი. სენატორი რევიზიას გაუკეთებს ციმბირის სამხედრო დაწესებულებებს.

**პერმი.** ინჟენერი განზბერგი პეჩორის იმიდან იუწყება, უხტაში ნავთი აღმოაჩინეო.

**კურსკი.** 20 მარტს, საღამოს 9 საათზედ რამდენიმე დარაჯი მივიდა პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მყოფ ჩერნოვალოვის სახლში. დარაჯებს ჩერნოვალოვს სახლიდან სროლა დაუწყეს. მოკლულია ორი დარაჯი. მკვლელმა თავს უშველა.

**ეკატერინებურგი.** ინგლისელთა ამხანაგობამ დაადგინა დროებით შეაჩეროს კასლინის ქარხნის მუშაობა და მუშაობა შეამციროს ტეჯენის ქარხანაში. უმუშევრად დარჩა 1500 კაცი.

**სამარა.** სამოსამართლო პალატამ განიხილა 11 კაცის საქმე. ბრალდებოდათ 1905 წელში რკინის გზის გაფიცვის კომიტეტის წევრობა. სასამართლომ მიუსაჯა: ხუთს ოთხ-ოთხი თვით, ორს სამ-სამი თვით, ორს ორ-ორი თვით ციხე და ორიც გაამართლა.

**ნოვოროსიისკი.** სამოსამართლო პალატამ გაარჩია 10 კაცის საქმე. ბრალდებოდათ ტემსიუკის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვის მოწყობა. სასამართლომ გადაუწყვიტა ექვს სხვა და სხვა ვადით (3 თვიდან ერთ წლამდე) ციხე, ოთხი გაამართლა. ნოვოროსიის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვის საქმე შემდეგისთვის გადაიდო.

**პეტერბურგი.** გათავდა შეერთებულ თავად-აზნაურთა კრება. კრებამ სახალხო განათლების შესახებ შემდეგი რეზოლიუციები მიიღო: პირველ-დაწყებით სკოლებში სწავლა-განათლების საქმე დამყარებული უნდა იყოს სარწმუნოება-ზნეობრივ და პატრიოტულ ნიადაგზე. მასწავლებლებიც სწორედ ამ იდეალებით უნდა იყვნენ გამსჭვალულნი. ასეთი მასწავლებლების მომზადება შეუძლიან სემინარიებს საერო განათლების სამინისტროს პროგრამებით. სემინარიებში სწავლა-აღზრდის საქმე იმავე ნიადაგზე უნდა იყოს დამყარებული, როგორც პირველ-დაწყებით სკოლებში. საყოველთაო სწავლის შემოღებამდე მომზადებულ მასწავლებელთა საჭირო რიცხვი უნდა მომზადდეს. პირველ დაწყებით სკოლებში უპირატესობა მასწავლებელ-ქალთ უნდა მიეცეთ. საჭიროა გამრავლდეს სახალხო სკოლების ინსპექტორთა რიცხვი და ინსპექტორების წრე გაიწმინდოს მავნე ელემენტებისაგან. სკოლებთან უსათუოდ წიგნთ-საცავები უნდა დაარსდეს. წიგნთ-საცავებით ადგილობრივმა მცხოვრებლებმა უნდა ისარგებლონ, მხოლოდ იმ პირობით თუ წიგნების შეძენა-გამოწერას სახალხო სკოლების ინსპექტორები ადევნებენ თვალყურს. სასწავლებლების საბჭოებში თავმჯდომარეობენ თავად-აზნაურთა წინამძღოლები. თავად-აზნაურთა წინამძღოლები მოვალენი არიან თვალყური ადევნონ, თუ ვის ეძლევა ერობის სტიპენდიები უმაღლეს სასწავლებლებში. სტიპენდიები უნდა წაერთვათ „რევოლიუციონერ“ სტუდენტებს, რომ ამითი ცოტად თუ ბევრად შეფერხდეს უმაღლეს სასწავლებლებში გამეფებული რევოლიუციონური მოქმედება. კრებამ უფრო მეტს მნიშვნელობას აძლევს, რომ სტიპენდიები პროფესიონალურ და სახელოსნო სკოლების მოწაფეებს მიეცეთ და არა საშუალო სკოლის მოწაფეებს, რადგან ეს უკანასკნელი სასწავლებლები თავიანთ შეგირდებს ხელოვნურად აშორებენ.

**სიმფეროპოლი.** ღამე ექვსი შეიარაღებული ბოროტგანმზრახველი მივიდა შნაიდერის მამულში, წაიღო 500 მანეთი ფულად, სხვა და სხვა ძვირფასი ნივთი და მიიმალა. ბოროტგანმზრახველები პოლიციელების ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილნი.

**ვარშავა.** 19 მარტს, ღამე, სენატის ნეიდგარდტის ბრძანებით სხვა და სხვა ქალაქებში გაჩხრიკეს საინტენდანტოს მოხელეები და მოიჯარადრეები, სულ 200 კაცი. მარტო ვარშავაში გაჩხრიკეს 130 კაცი.

**კიევი.** დაიწვა მედვედიევის თეატრი, არტისტიულ საზოგადოების და საკრედიტო დაწესებულებათა კლუბები. დამწვარია სცენები, დარბაზები, ბუფეტები და ფოიები. ზარალი 200,000 მანეთს უდრის. 300 კაცი უმუშევრად დარჩა.

**სევასტოპოლი.** სამხედრო—საზღვაო სასამართლომ განიხილა ლეიტენანტების, ორლოვის და სიმონოვის, მიჩმანის ბირილევის და ნიშნის მიმცემის სანაევის საქმე. ბრალდებოდათ გემებზედ დაწესებულ მუშაობის წესის დარღვევა, რასაც სამი მატროსის დაღუპვა მოჰყვა. სასამართლომ გადაუწყვიტა: სიმონოვს სამსახურიდან დათხოვნა, ორლოვს სამი თვით და სანაევს ხუთი თვით დაპატიმრება და ბირილევი გაამართლა.

**ყაზანი.** ოლქის სასამართლომ გაარჩია 11 კაცის საქმე. ბრალდებოდათ ყალბი ფულის გაკეთება და გავრცელება. სასამართლომ გადაუწყვიტა ერთს ხუთი წლით, ერთს 4 ნახ. წლით, ოთხს—ოთხ-ოთხი წლით კატორგა, ხუთი გაამართლა, მათ შორის ბეითალი ილინიც. სასამართლომ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ ორლოვსკის სასჯელი შეუმსუბუქდეს და ოთხი წლის კატორგაში გაგზავნის მაგიერ, წლით ნახევრით გადასახლდის.

# მამულიშვილი

ხაზინის ბუხჰალტერს, ავდეი პეტროვიჩს, ცოლის დღეობა ჰქონდა.

პატარა, მაგრამ მშნოზე მორთული დარბაზი სავსე იყო სტუმრებით. წვეულნი უმეტეს ნაწილად ბუხჰალტრის ამხანაგ-თანამოსამსახურენი იყვნენ: მაღალი და ბუასილისაგან ჩამომხმარი ხაზინადარი ვიტიაკინი, კოლოტივით გამრგვალებულ მეუღლითურთ; მისი თანაშემწე, ზოსიმე ხლოპკინი, ცოლითა და სიდედრით; სტოლის უფროსი ვილაზკინი და მისი ორი ქალიშვილი; ბუხჰალტრის უფროსი თანაშემწე ვარდენ ტაბლაკვერაძე და მისი ლამაზი ცოლი ვასასი; ახალგაზდა და უცოლო ეგზეკუტორი პოცელუევი, რომელიც ქალთა ნამდვილი კბილის მატლი იყო და სხვანი მრავალნი.

თვით მიზეზი დღეობა-ლხინისა—პრასკოვია პაფნუტიევნა—დაუმარილებულ-დაპიაფერებული და კორსეტის ზემოდან ძუძუებ გადმომჯდარი, კარებშივე ეგებებოდა სტუმრებს. მოსულნი ულოცავდნენ, ძალდატანებით უღიმოდნენ და ჩასუქებულ ხელებს უკოცნიდნენ. ის კი ერთს რომ შუბლზე აკოცებდა, მეორეს ლოყას მიუშვერდა, მესამეს მშვიდობას ჰკითხავდა, მეოთხეს მოკითხვისათვის მადლობას უხდიდა და ყველა ამას ისეთი მსუბუქი მოძრაობით ასრულებდა, იტყოდი: ცხრა შვილის დედა კი არა, ეს-ეს არის ახლა მისთხოვებია ავდეი პეტროვიჩსაო. დაპატიჟებულნი ყველანი მოსულიყვნენ, გარდა ხაზინის უფროსისა.

ერთმანეთის მიკითხვ-მოკითხვისა და სალამის შემდეგ, როგორც ყოველთვის, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა—განსაკუთრებით კი მამაკაცები უცნაურ უხერხულებასა ჰგრძნობდა. თვითეულს სწადდა სიჩუმის დარღვევა, მაგრამ საბაასო საგანი ვერ მოენახა.

— რა ამბავია, ბატონებო?—გაჰბედა ისევ დიასახლისმა.

— ანგელოზმა ჩამოიარა!—მიუგეს ქალებმა.

— არა, სულელი დაიბადა!—გაასწორა ახალგაზდა პოცელუევმა და დიასახლისისაკენ გაემართა. მკლავი მკლავში გაუყარა და როიალისაკენ წაიყვანა.

— პრასკოვია პაფნუტიევნა, გთხოვთ!—ფეხი ფეხზე შამოკვრით წარმოსთქვა და როიალზე მიუთითა.

დიასახლისმა, თანხმობის ნიშნად, თავი დახარა, თმაში ჩაწნული ვარდის ფერი ლენტი გაისწორა, დაჯდა და ისე ღონივრად დაჰკრა ადამისეულ როიალის გაყვითლებულ კლავიშებს, რომ გეგონებოდათ, დარბაზში საპონ-წაუსმელი ურემი გახრიგინდაო.

— M., Кавалеры, engages vos dames!

დაიკივლა პოცელუევმა და ვასასისკენ გაექანა, როცა მან ქალს ხელი მოჰხვია და წრიულასავით გაიტაცა, ვარდენს რაღაცამ შიგ მარცხენა ფერდში უჩხვლიტა და გაანაწყენა.

„ის რო მოჭიდავე ყოჩივით წინ არ წამოიჭიმოს, ხომ არ შეიძლება!...“—გულმოსულად წაიდუდუნა მან:—აგრე ჰო, მაგრა მოჰხვიე ხელი, მაგრა! მაცა, არ გინდა შინ მობრძანება?!“..

პირველ წყვილს სხვებიც მიჰყვნენ და გაიმართა ცეკვა, მაგრამ რადგან ცეკვის მსურველი ბევრი არავინ გამოდგა, ზოგი ქაღალდის სათამაშო მწვანე მაგიდას შემოუჯდა, ზოგი კი მეტ წილად ჩინოვნიკობა და მათ რიცხვში ტაბლაკვერაძეც—ერთ კუთხეში შეჯგუფდა და ცეკვის ცქერით სიამოვნობდა.

დიასახლისი როლში შევიდა, მოცეკვავენიც გახურდნენ, ხოლო ბებერი როიალი საცოდავის ხმით ხრიალებდა და იმ ხმაში, თითქოს, ვედრებაც ისმოდა: „კაია, შეხედეთ თქვენს ღმერთს, ამდენი კი აღარ შემიძლიაო!“

ყველა მხიარულობდა, ქალები ოფლში სცურავდნენ, მხოლოდ ვარდენი იდგა ყურებ ჩამოყრილი. დრო და დრო იმის წინ ჭოჩვენებასავით გაისრიალებდა ხოლმე ლამაზი ვასასი, რომელიც—ვარდენმა შეამჩნია ეს—იდუმალ, სიცილ-ნარევი ხმით განუწყვეტლად რაღაცას ეჩურჩულებოდა თავის კავალერს. გიჟმაჟ ეკზეკუტორს ისე ახლოს მიეზიდა იგი, რომ მკერდი მკერდს ეხახუნებოდა და გაძლიერებულ სუნთქვისაგან აწითლებული ტუჩები თითქოს სივრციდან ჰკოცნიდნენ ვასასის ტუჩებს.

„მაცა, მაცა მე შენ!“—ბუზღუნობდა უძლური სიბრაზისაგან გაბერილი ტაბლაკვერაძე.

— სწორეთ, რომ კეკლუცები არიან ეს ქართველი ქალები!—აღტაცებით წამოიძახა ვილაზკინმა, როცა ვასასიმ პეპელასავით გაიფრიალა იმის წინ, და საზანდარს მიუბრუნდა:—აბა, შეხედეთ, თუ m-e ტაბლაკვერაძისთანა მოხდენილად ცეკვავს ვინმე!

— აჰ? ჰმმ...—გამოერკვა ხაზინადარი:—Дааа!.. კერძოთ ქ-ნ ტაბლაკვერაძისაზე რომ ვსთქვა რამე, პირში ქება იქნებოდა, ხოლო საზოგადოდ კი თქვენი აზრი სრული ჭეშმარიტებაა. თითქმის მთელი რუსეთის იმპერია მომივლია და ქართველ ქალისთანა ლამაზი არსად არ მინახავს...

ჩქარა გამოსათქმელივით წაილაპარაკა მან და ვარდენს მარცხენა თვალით გადახედა.

— Да, да! совершенно вѣрно...—დაემოწმნენ სხვებიც.

— მე კი... უნდა მოგახსენოთ, რომ... მაგაზე ვერ დაგეთანხმებით...—ღამურასავით დაიწრიპინა უფროსმა მოანგარიშემ და წინ წამოდგა. ყველანი იმისკენ მიბრუნდნენ. ვარდენმაც სცქვიტა ყურები:—სილამაზე, მოგეხსენებათ, ისეთი ცნებაა, რომ შეგვიძლიანთ ათას ვერსზე გასჭიმოთ იგი და, პირიქით, შეგვიძლიანთ... ე. ი. მე იმის თქმა მინდა, რომ სილამაზე და მისი დაფასება პირად, ინდივიდუალურ გემოვნებაზე დამოკიდებული; უკეთ რომ ვსთქვათ—რაც შენ ლამაზად გეჩვენება, იგი, შეიძლება, მე მახინჯად მეჩვენოს. მართალია, ქართველი ქალები ლამაზები არიან, მაგრამ მათ სილამაზეს ისეთი რამ აკლია, რომელიც... რომელიც... როგორ გამოვხატო?.. რომელიც დიდათ ვნებს მათ სილამაზეს!.. მათ აკლიათ, ასე რომ ვსთქვათ... ეეე... ასე რომ ვსთქვათ...—слащавость!.. წასჩურჩულა ხლოპკინმა.

— დიახ, დიახ! слащавость, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ женственность!..

ტაბლაკვერაძეს სისხლი აემღვრა, საფეთქლებს მოაწვა და ჩაქუჩივით დაუწყო ცემა:

— ბატონო კოსტრიულინ! რათ იცით ხოლმე ისეთ საგანზე ახირება, რომლისაც არა გაგეგებათ რა!..

— უკაცრავად, ვარდენ ზარასპიჩ! მე თქვენზე უფრო მესმის და დიდი თაყვანისმცემელიცა ვარ სილამაზისა და საზოგადოდ ესთეტიკისა. მხოლოდ, ქართველ ქალთა სილამაზისა არაფერი მრწამს, რადგან მათი სილამაზე რაღაც... ხეპრულია, ველური...

— არ შეიძლება, რომ ცოტა ზრდილობიანად ილაპარაკოთ?—აენთო ტაბლაკვერაძე.

— მე ძლიერ კარგად მესმის, რასაც ვამბობ!—გულცივად მიუგო კოსტრიულინმა და ამხანაგებს მედიდურად გადაჰხედა: განა ცუდად ვლაპარაკობო:—დიახ, ქართველ ქალებს აკლიათ აგრეთვე ის, რაც აუცილებლად საჭიროა ყველა მანდილოსნისთვის... ე. ი. მე მინდა ვსთქვა, რომ მათ აკლიათ, აგრე წოდებული დარბაისლობა, ანუ... ანუ общительность, როგორც ჩვენები იტყვიან... ქართველ ქალს რომ არშიყობა დაუწყო, სწორედ აღარ შემოგხედავს, თითქოს მკვლელი იყო მისი და არა თაყვანისმცემელი...

— ბატონო კოსტრიულინ! თქვენ ცილსა სწამებთ ჩვენს ქალებს და საზოგადოდ ქართველებს!.. ეს, ცოტა არ იყოს, მე... როგორც მამულიშვილი, ვალდებული ვარ, დავიცვა...

მან მღელვარებისა გამო ველარ დაასრულა, ხოლო კოსტრიულინი, თითქოს განგებ, დაჟინებით განაგრძობდა:

— ცილის წამება ჩემს ბუნებას ეწინააღმდეგება, ბატონო ვარდენ ზარასპიჩ. ტყუილა იწუხებთ თავს: მე საზოგადოდ სიმართლის თქმა მიყვარს, რადგან ჩემი ცხოვრების დევიზია: ყოველ საგანს თავისი საკუთარი სახელი ვუწოდო... დიახ, ის აზრი, რომ ქართველები ლამაზი ხალხია, ძველი, ძალიან ძველი აზრია—პუშკინისა და ლერმონტოვის მოგონილი—და ამიტომ მისი შეწყნარება დღეს ყოვლად შეუძლებელია...

— მაშ, თქვენი აზრით, რუსები უფრო ლამაზები არიან, არა? ცხვირ აჩქენტილი, თვალებ გამოთეთრებული რუსები... კაი სილამაზეა, შენ ნუ მომიკვდე, როცა რუსის „მატუშკა“ არაყით გაიჟღენთება და ქუჩის პირას, თხრილში დაიწყებს ხოლმე კოტრიალს!.. ესაა თქვენგან მოწონებული სილამაზე, არა?!.

**კიევი.** სახელმწიფო ბანკის კანტორაში აღმოაჩინეს, რომ მოხელე ჩესნიასოვსკის რამდენიმე ათი ათასი მანეთი გაუფლანგავს. ჩესნიასოვსკიმ თავი მოიწამლა.

**ცარიცინი.** ღამე, სადგურ ცარიცინის პირისაბან ოთახში უცნობებმა მოჰკლეს ჟანდარმი. უცნობებს წაუღიათ ჟანდარმის რევოლვერი და ქამარი. ჟანდარმი დანით 9 ადგილას არის დაჭრილი.

**სარატოვი.** ოლქის სასამართლომ გაარჩია სოფელ მალინოვკას მცხოვრებთა საქმე. ბრალდებოდათ 1905 წელში მემამულების სახლ-კარის გადამწველთა თავისით გასამართლება. გასამართლებას 40 კაცის მოკვლა მოჰყვა. სასამართლომ ერთს მიუსაჯა სამი თვით სატუსაღო, დანარჩენები გაამართლა. ამავე სასამართლომ გაარჩია სოფელ ბოცმანოვის გლეხების საქმე. ბრალდებოდათ 1905 წელში მემამულე ვოლკოვის სახლის აკლება, მისი და მის ძმისწულების დაჭრა. სასამართლომ მიუსაჯა ოთხს რვა-რვა წლით კატორღა, ოთხი გაამართლა.

**შავლი.** დაიწვა 7 სახლი. ზარალი 35,000 მანეთს უდრის.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **რკინის გზა კავკასიონის მთაზე.** „ბაქუ"-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: გზათა სამინისტროსთან არსებულმა კომისიამ მიიღო პროექტი კავკასიონის მთაზე რკინის გზის გაყვანის შესახებ. [illegible] გორამდე გასტანს.

✦ **სინდიკატი რკინეზე.** [illegible]

✦ **მკვლელობა.** 21 მარტს, ნაშუალამევის $11^1/_2$ საათზე, სასახლის ქუჩაზე ტფ. საგუბერნიო საპატიმროს უმცროსმა ზედამხედველმა კონსტანტინე ივლევმა მოჰკლა სათადარიგო პრაპორშჩიკი თავ. ლევან კონსტანტინეს ძე ჯორჯაძე. პოლიციის ცნობებით საქმე ასე მომხდარა. თავ. ჯორჯაძე სხვებთან ერთად სასახლის ქუჩით მიდიოდა. როცა ივლევი დაუნახავს, უთქვამს: ამ „ტიურემშჩიკმა" ძალიან შემაწუხა, როცა გორის საპატიმროში ვიყავიო. ამაზე ივლევს უთქვამს, თუ კიდევ ჩავარდები საპატიმროში, უარესი დღე დაგადგებაო. ლევან ჯორჯაძეს ივლოვისთვის გაურტყამს ამტყდარა ჩხუბი ივლოვს ამოუღია რევოლვერი და სამჯერ უსროლია ჯორჯაძისათვის. დაჭრილი ჯორჯაძე მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც იგი გარდაიცვალა ივლევი დააპატიმრეს.

✦ **ამხანაგის მოკვლა.** 20 მარტს პოლიციამ დააპატიმრა ვითომ მთვრალი ტრიფონ დარახველიძე. მას ჰბრალდებოდა 40 მან. მოპარვა ანტონ დარახველიძის საბულკედან. იგი მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს, მაგრამ ნაშუალამევის 2 საათზე გარდაიცვალა. გამოძიებით გამოირკვა, რომ გარდაცვალებულ დარახველიძეს, ანტონ დარახველიძეს, მიხეილ კოკოლაძეს და იმნაძეს საამხანაგო საბულკე ჰქონიათ მუხრანის ქუჩაზე. ტრიფონ დარახველიძე ერთი თვის წინად ამხ—დან გამოსულა და ანგარიშის გასასწორებლად 20 მარტს [illegible]

✦ **ბალი.** 19 მარტს [illegible] გეილოდ. დიასახლისად იყო ა. პ. პეტერსონისა.

✦ **მუსიკალური დილა.** კვირას ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების სამუსიკო სკოლაში გაიმართა მუსიკალური დილა. ამ სკოლის მოწაფეებმა, პაწაწა ბავშვებიდან დაწყებული დიდებამდე, დაუკრეს როიალზე და სკრიპკაზე. დაესწრნენ მშობლები. საზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა.

✦ **ლიტერატურული საღამო.** აპრილის ბოლო რიცხვებში გრიგოლ რობაქიძე გამართავს საინტერესო ლიტერატურულ საღამოს. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი მწერლები, რომელნიც თავიანთ ახალს ნაწარმოებს წაიკითხავენ: ლექს, მოკლე ესკიზს, პატარა კრიტიკულ ეტიუდს და სხვას. ჯერჯერობით აღუთქვეს მონაწილეობა: ილ. ელეფთერიძემ, ივ. გომართელმა, ნ. ლორთქიფანიძემ, შ. არაგვისპირელმა, გრ. დიასამიძემ, სვ. ყიფიანმა, მ. ადამაშვილმა, შანშიაშვილმა და გრიშაშვილმა. მონაწილენი იქნებიან აგრეთვე: ვაჟა-ფშაველა, კიტა აბაშიძე, ლალიონი, ლევ. მეტრეველი, ქუჩიშვილი და სხვები.

✦ **კალიასთან ბრძოლა.** 20 მარტს მოხდა კავკ. ნამესტნიკის საბჭოს სხდომა. საბჭომ, სხვათა შორის, განიხილა მოხსენება კალიასთან ბრძოლის შესახებ. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა სააკოვმა საბჭოს წარუდგინა ანგარიში წარსული წლის მოქმედებისა. შარშან ამ საქმისათვის განჯა-ბაქოს გუბერნიებში სააკოვის ხელმძღვანელობით 40,000 მანეთამდე დახარჯულა. ანგარიშის დამტკიცების შემდეგ საბჭო შეუდგა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას. ბ-ნ სააკოვმა საბჭოს აცნობა, რომ კალიასთან ბრძოლა რთული საქმეა, მწერი კავკასიის სხვა ადგილებშიაც გაჩნდა და ამიტომ საჭიროა კიდევ ორი სპეციალისტი აგრონომიო. საბჭომ შესაძლებლად სცნო ორ თანაშემწის მოწვევა. შემდეგ დაამტკიცეს ხარჯთ-აღრიცხვა. წელს კალიასთან საბრძოლველად საბჭომ საერთო თანხიდან გადასდო 38,000 მან.

✦ **სომხური გამომცემელი საზოგადოება.** კვირას, 21 მარტს მოხდა კრება სომხურ გამომცემელ საზოგადოებისა. კრებამ დაამტკიცა მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა. გამომცემელი საზოგადოება წელს წიგნების გამოსაცემად და სხვა საქმეებზე დახარჯავს 3800 მანეთს. აღრიცხვის დამტკიცების შემდეგ კრებამ აარჩია დამატებით სარედაქციო კომისიის წევრებად ს. კაპანაკიანი, ექ. ქალანთარიანი და სამი კანდიდატი. კრებამ აარჩია აგრეთვე სარევიზიო კომისია და სხვანი. საზოგადოების წევრად ამ ჟამად 200 კაცზე მეტია.

✦ **შუამდგომლობა.** ქალაქ ბათუმის დეპუტაციამ გ. დ. ჟურულის მეთაურობით შუამდგომლობა აღძრა, დაარსდეს ბათუმში ოლქის სასამართლო. ქალაქი სწირავს ადგილს, 400 ოთხკ. საჟენს, 20,000 მანეთად ღირებულს.

✦ **შანტაჟისტი.** 20 მარტს ელისაბედის ქუჩაზე მცხოვრებმა ქალმა მარიამ ჟუკოვსკისამ პოლიციას განუცხადა: ბაზრიდან შინ დაბრუნებისას ჩემი ბინის შესავალში ვნახე გუტაპერჩის შრიფტით დაბეჭდილი მუქარის წერილი. შიგ ეწერა: 10 საათისთვის იმ ფანჯარაზე, სადაც თეთრი მიწით ჯვარი იქნება გასმული, 15 მანეთი დადეო. ბოქაულმა აღნიშნულ ადგილს ცარიელი დაბეჭდილი პაკეტი დაადებინა და დააყენა დარაჯი. პაკეტის ამღები 14 წლის ყმაწვილი ვლადიმერ იოსებ. გურსკი დააპატიმრეს. ყმაწვილი გამოტყდა და განაცხადა: პაკეტის ასაღებად მამამ გამგზავნაო. მამაც დააპატიმრეს და გაჩხრეკის დროს უნახეს ბეჭედი. გურსკი რკინის გზის მოხელედ ნამყოფია და ეხლა უსაქმოდ დაიარება.

✦ **მასწავლებელ ქალის გაწვევა.** როგორც ამას წინად ვწერდით, ოსმალეთის პარლამენტის დეპუტატი მოლლა-ასან ირემაძე იწვევდა ქართული ენის მასწავლებელს ბავშვებისთვის. როგორც გავიგეთ, ერთი ჟურნალისტის ქვრივს მიწერ-მოწერა გაუმართავს მოლლა-ასან ირემაძესთან და მასწავლებლობის სურვილი გამოუცხადებია. ამ დღეებში ირემაძისაგან მიუღია ქართულ ენაზე დაწერილი წერილი. დეპუტატი სწერს, მე და ჩემი ოჯახი ძალიან მოწადინებულნი ვართ შევისწავლოთ ქართული ენა, რომელიც ჯერ კიდევ არ დაგვიწყებიაო. წერილი რიგიანი ქართული ენით არის დაწერილი.

✦ **ძველი ეკლესიის დანგრევა.** სოფელ ალბულაღში („ბელი კლიუჩი") არსებობდა უძველესი ეკლესია. ამას წინად ადგილობრივმა მღვდელმა (რუსმა) ეპისკოპოსს გრიგოლს სთხოვა, ნება მომეცი დავანგრიო ეს ეკლესია და ახალი ავაგო. გრიგოლიმ შეუთვალა, ჩემი საქმე არ არის, მაგის ნება საარქეოლოგიო საზოგადოებამ უნდა მოგცესო. მღვდელს საარქეოლოგიო საზოგადოებისთვის გაუგზავნია ქაღალდი და უთხოვნია ნებართვა, მაგრამ საზოგადოების პასუხისთვის არ დაუცდია, ძველი ეკლესია დაუნგრევია და გვერდზედ ახალი აუგია. ძველი ეკლესია დინამიტით დაანგრიეს და ზოგიერთი მასალა ახალს მოახმარეს. როდესაც ეკლესია უკვე დაანგრიეს, მაშინ მოვიდა საერქეოლოგიო საზოგადოების პასუხი,—შეგიძლიანთ მხოლოდ შეაკეთოთ ეკლესიაო. კარგი იქნებოდა, რომ საარქეოლოგიო საზოგადოება დროზედ აქცევდეს ყურადღებას ამისთანა საქმეებს და ძველ ნაშთებს არ ანადგურებინებდეს.

✦ **ყალბი ფულის გამსაღებლები.** როგორც ვწერდით, 20 მარტს ელისაბედის ქუჩაზე პოლიციამ ყალბი ფულის გასაღებისათვის დააპატიმრა გიორგი მეძმარიაშვილი. პოლიციამ ამ საქმეში მონაწილედ სცნო პავლე ანტონის ძე კალატოჩიშვილი და ივანე ნიკოლოზის ძე დემუროვი და ორივენი დააპატიმრა.

✦ **აბრამოვიჩის ლექცია.** დღეს, 23 მარტს, სახაზინო თეატრში პეტერბურგელი ლექტორი ნ. აბრამოვიჩი წაიკითხავს პირველ ლექციას „თვით-მკვლელობაზე".

✦ **რკინის გზის დათვალიერება.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, გზათა მინისტრის ბრძანებით მალე ტფილისში ჩამოვა რკინის გზების უფროსი კოზირევი. კოზირევმა უნდა დაათვალიეროს ამიერკავკასიის რკინის გზა.

✦ **აეკრძალვა.** ტფ. პოლიცმეისტერმა აცნობა პოლიციელებს, რომ ტფ. ქართულ გიმნაზიის დირექტორის განკარგულებით აღნიშნულ გიმნაზიის მოწაფეებს აეკრძალათ საცეკვაო საღამოებზე სიარული და ამიტომ ყურადღება მიაქციეთ, რომ ისინი ასეთ გასართობებში არ შეუშვანო.

✦ **უპასპორტოები.** გაჩხრეკის დროს პოლიციამ 20—21 მარტს დააპატიმრა პოლიციის მე-2, მე-8, 1, 3 და მე-11 ნაწილში 101 უპასპორტო კაცი.

✦ **გვთხოვენ დავბეჭდოთ:** „უმორჩილესად გთხოვთ, ნება მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო, რომ მე არა ვარ ის ანნა ჯაფარიძე, რომელიც „სამშობლოს" გმირების გასამართლების დროს ნაფიც მსაჯულთა რიცხვში იყო. ანნა სვიმონის ასული ჯაფარიძისა".

✦ როგორც გვატყობინებენ, [illegible] ბერი სცხოვრობს.

✦ **გვთხოვენ დავბეჭდოთ:** „მუხავისის საზოგადოების (ტფილისის მაზრა) გლეხებმა გადმოგვცეს, რომ მათ მიუციათ მამასახლისისათვის 8 მ. რომელიმე ქართულ გაზეთის გამოსაწერად, მაგრამ დღევანდლამდე თურმე მათ კანცელარიას არ მისდის გაზეთი".

# მოწერილი ამბავი

**ს. მარტყოფი.** (გარედ კახეთი) 14 მარტს აქ მოვიდა წვრილი კრედიტის ინსპექტორის ბ-ნი დავიდოვი და სკოლის სადგომში ბლომად შეკრებილ ხალხს, რომლის უმრავლესობას შეადგენდა გლეხობა, გააცნო წვრილ საკრედიტო დაწესებულების წესდება, დანიშნულება და საჭიროება. ხალხი სიამოვნებით უსმენდა დავიდოვს. ერთმა გლეხმა შემდეგი მიუგო ინსპექტორს: „თქვენ მოსვლას და თქვენ წადილს, თუ იგი გულწრფელია, არ შეგვიძლიან არ მივესალმოთ, მით უმეტეს, რომ ჩვენ ძალიან გვსაჭიროება დახმარებას ფულის მხრით ჩვენ ისეთი დარიბები ვართ, რომ ერთკლასიან სასწავლებლის განახლებაც-კი (რემონტი) ძლივს შევსძელით, რომელიც აგერ 5—6 წელიწადია დაკეტილია. რა თქმა უნდა, მაგვარ პირობებით ფულის სესხება დიდ დახმარებას გაგვიწევს". ხალხი ძალიან კმაყოფილი დაიშალა. დავიდოვი მეორედ მოსვლას დაჰპირდა 2—3 თვის შემდეგ, როდესაც ნებართვა წვრილი კრედიტის გახსნისა დართული იქნება...

მეორე დღეს ბ. დავიდოვი დიდდილოში წავიდა ამ გვარივე საქმის შესახებ.

**უკმაყოფილო.**

—

**ხარაგაული.** (ბელოგორი). „დროება"-ში თავის დროზე აღნიშნული იყო, თუ რა გამოსცადეს აქაურმა მცხოვრებლებმა დიდხან რეაქციის გამეფებისა. მთელი დაბა ცეცხლის მსხვერპლი შეიქნა და დიდის ვაი-ვაგლახით, როგორც იქნა, ისევ გაიმართა ბაზარი. აუწერელია ის ტანჯვა გაება, რომელიც აქაურებმა გამოსცადეს იმ დროს. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ესეთ ტანჯვა გამოვლილ მცხოვრებთ მოსვენებას

---

კოსტრიულინი გველნაკბენივით შეტრიალდა. დანარჩენებიც აჩოჩქოლდნენ.

— ვარდენ ზარასპიჩ! რუსის „მატუშკა" თქვენი ხელწამოსაკრავი არ გახლავთ და გთხოვთ, ნუ შეაწუხებთ: მე მხოლოდ...

— ქართველები კი რა თქვენი ხელწამოსაკრავნი არიან, რომ ასე ურიგოთ იხსენიებთ? რუსები ყოველთვის უმადურები იყავით და...

— Ну, это уже!.. არ შეიძლება, რომ თქვენ პოლიტიკაზე არ გადაიტანოთ მაშინვე საუბარი! უმადური ჩვენ კი არა, თქვენ ბძანდებით, თქვენ—ქართველები, თუ მართალს მათქმევინებთ! მაგრამ მე ამაზე არ გეკამათებით... მე მოგახსენებდით, რომ ქართველობა, შეიძლება ოდესმე იყო ლამაზი ხალხი, დღეს კი—მიმოიხედეთ გარშემო, ბატონებო! —განა დღევანდელ ქართველებს ლამაზი ეთქმისთ? თვით თქვენ, ბ-ნ ვარდენ ზარასპიჩ, მართალია ქართველი ბრძანდებით, მაგრამ თქვენი სილამაზე ისეა დაშორებული ნამდვილ სილამაზეს, როგორც...

ტაბლაკვერაძეს მოთმინების ფიალა აევსო. გამწარებულმა ისე ლონივრად გაიკრა ხელი გაკრახმალებულ ვიწრო საყელოს, რომელიც სისხლის მოწოლის გამო ლაპარაკს უშლიდა, რომ გალსტუკიც კი შეაწყდა.

— ბატონებო!—ისეთი ხმით დაიყვირა მან, რომ დიასახლისი შიშით ერთ მტკაველზე შეხტა და როიალმაც ძალა-უნებურად შესწყვიტა გულის გამაწვრილებელი ხრიალი:—ბატონებო, თქვენ ეჭვი შეგაქვთ ჩემი სიტყვების სიმართლესა და ქართველ ერის სილამაზეში, რაც ძლიერ სამწუხარო და უცნაურია!.. ისეთი პირები, როგორც თქვენ, რომელნიც ჩვენში, საქართველოში, მუშაობენ,ვალდებულნი არიან უფრო დაახლოვებით და დაწვრილებით იცნობდნენ ჩვენი ქვეყნის წარსულსა და აწმყოს... სირცხვილია, ბატონებო, სირცხვილი ასეთი უმეცრება! თუ თქვენს მოკლე ჭკუა გონებას არ უჯერებთ და ვერ ხედავთ მას, რაც დღესავით ცხადია მე დაგისახელებთ ისეთ პირების ნაწარმოებს, რომელნიც მიუდგომელად აღწერენ ჩვენს ცხოვრებას... აი, მაგალითად, ფრანგი-მოგზაური შატო... შატობ... რა ჰქვია?.. თუნდ შატობრიანი, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში მოგზაურობდა ჩვენში და გაგიჟებული იყო ქართველების სილამაზითა და სიმამაცით!.. თუ იმასაც არ დაერწმუნებით, მაშინ მე მოგახსენებთ და ამის დასამტკიცებლად ურიცხვ საბუთებსაც მოვიყვან, რომ ქართველი ხალხი ერთი უძველესი და უუმამაცესი ერია მთელს დედა-მიწის ზურგზე!.. დიახ, მთელს დედა-მიწის ზურგზე!.. ქართველებს, როგორც „ქართლის ცხოვრება" მოგვითხრობს, მეოთხე საუკუნეში—ქრისტეს დაბადებამდე—მიუღიათ ქრისტიანობა, რუსებს კი...

— позвольте, ვარდენ ზარასპიჩ! როგორ მოხდა, რომ ქრისტეს დაბადებამდე...

მსმენელთა შორის სიცილ-ხარხარი ასტყდა, მაგრამ ტაბლაკვერაძეს აღარა ესმოდა რა თავის ხმის მეტი. იგი ცოფიანივით იქნევდა ხელებს და თავდავიწყებით გაჰკიოდა:

— გთხოვთ, ნუ მაწყვეტინებთ! სიტყვას ნუ მაწყვეტინებთ!.. თქვენ იცინეთ, რამდენიც გნებავდეთ, მე კი მოგახსენებთ, რომ ათი ათას წლოვანი ერი თქვენგან სასაცილოდ ასაგდები არ გახლავთ!..

— ბატონო, აქ სრულიად ..

— არა! განაგრძობდა იგი:—მესმის, ძლიერ კარგად მესმის ის, რაცა სთქვით და რის თქმაც გინდოდათ!.. მე მოგახსენებდით, რომ ქართველი ხალხი ერთი უუძველესი და უუმამაცესი ერია-მეთქი მთელს დედა მიწაზე... ბაბილონელები ვინ არიან?!. ქართველნი მათზე ადრე გაჩენილან და კიდევაც დაუმკვიდრებიათ ძლიერი სამეფო!.. განა, ფარნაოზი — ქართველთა პირველი მეფე-არ იყო, რომ თურქებს მთლათ ბოლო აადინა ზურგზე და ტრაპიზონის ტახტზე თავისი შვილი ალექსი დასვა მეფეთ?!. ვახტანგ-მეფე არ იყო, რომ დარუბანდს თავისი ხელით ახსნა რკინის კარები და გელათს ზურგით მოიტანა?!, ერეკლე მეორე არ იყო, რომ თქვენი სახელგანთქმული ღენერალი ტოტლებენი აწივლა ასპინძის ველზე?!. დავით აღმაშენებელი არ იყო რომ... მაგრამ რომელი ერთი მოგითვალო?.. ვიცი, ყველა ამ საბუთების წინააღმდეგ აღარაფერი ითქმის, მაგრამ თქვენი ღვარძლიანი გული ამაშიდაც ეჭვს შეიტანს და რომ ეს ასე არ მოხდეს, მე შემიძლიან კიდევ და კიდევ მოგახ...

კარები წყნარად გაიღო და დარბაზში შემობრძანდა მათი აღმატებულება ხაზინის უფროსი! ყველანი იმისკენ გაემართნენ, ხოლო პატარა ჯგუფი ისე იყო გატაცებული კამათით, რომ უფროსის მოსვლა არ შეუნიშნავს, სანამ თვით მათი აღმატებულება არ წაადგათ თავს.

— ააა... გამარჯობა, გამარჯობა! —სიტყვის გაბრტყელებით მიესალმა იგი მოკამათეთ:—ვარდენ ზარასპიჩ! თქვენ ძლიერ გაცხარებული იცავდით რაღაცას!.. დიდად სასიამოვნოა, დიდად, როცა მსჯელობა თავდავიწყებამდე მიიყვანს ხოლმე ადამიანს!.. უთუოდ პოლიტიკაზე ლაპარაკობდით... მხოლოდ პოლიტიკას შეუძლიან ცხარე კამათის გამოწვევა!..—უფროსმა ეშმაკურად ჩაიცინა ულვაშებში და კვლავ ვარდენს მიუბრუნდა:—თქვენ, ვარდენ ზარასპიჩ, განუკურნებელი პოლიტიკოსი ხართ, განუკურნებელი, როგორც გავიგე...

თვით მეხი რომ დასცემოდა ტაბლაკვერაძის მელოტ თავს, მგონი არ დაუკარგავდა გონებასა და სულის სიმშვიდეს, როგორც უფროსის ამ მოულოდნელმა თავდასხმამ მოსხლიტა და შეარყია იგი.

— არა, თქვენო... თქვენო...— ძლივს წაილუღლუღა მან: — ჩვენ ისე... ჩვენს ყოფა-ცხოვრებაზე ვლაპარაკობდით...

— ჰმ... რატომაც არა? მსჯელობა გონების ვარჯიშობაა, მხოლოდ პოლიტიკა... პოლიტიკა ჩვენი საქმე არ არის...

და უფროსმა კვლავ ეშმაკურად გაუღიმა ვარდენს...

ტაბლაკვერაძეს ცივმა ოფლმა დაასხა. მან დრო იხელთა, ოჩან ჯორივით უკან-უკან დაიხია და ქალთა გუნდს შეერთო.

„ვაი, შენს ვარდენს!—გულის-წასვლით ბუტბუტებდა იგი და თვალით ცოლს ეძებდა:—რავა მელასავით წამოგვეპარა ის ჩემი ცოდვით სავსე".

— ვასასი, ვასასი!—სტაცა ცოლს კაბის კუდში ხელი და კუთხეში მიითრია.

— რა იყო, სულიკო? ფერის ნასახი აღარ გაქვს?—ჰკითხა შეშინებულმა ვასასიმ.

— არაფერი!.. ისე, ცოტა უქეიფოთა ვარ... ისევ საყმაწვილოს წითელი ქარები ამიტყდა, მგონია... ვახშმად ვეღარ მოვიცდი და... შენც ხომ არ წამოხვალ?..

— გაგიჟდა ჩემი მტერი?.. რა დროს წასვლაა, ადამიანო? მხიარულება აწი იქნება! შენ წადი, თუ კი არ შეგიძლია, მე კი... რას იტყვიან?.. წადი და თბილად დაწექ! კაპლები და ყვითელი წასასმელი ჩემი საპირფარეშო მაგიდის უჯრაშია, მარა არაფერი დამიმტვრიო, გესმის?..

— კარგი, მე წავალ, მაგრამ...

—იგი ციების კანკალმა აიტაცა:— ვინიცობაა, თუ უფროსმა ჩემზე შესახებ რამე სთქვას, ხომ იცი?.. თვალყური გეჭიროს და თავი ისე აჩვენე, რომ... ერთი სიტყვით, შენც მიხვდები... იგი ცოტა არშიყია და...

— ჰო, კარგი, კარგი!

გულში ღიმილით წამოიძახა ცოლმა და საცეკვად გაქანდა.

ვარდენმა საჩქაროდ მოსძებნა თავისი გახუნებული პალტო, დაჯღანული კალოშები, ჩაიცვა და ქარიანივით წულში მოხრილი შინისაკენ გაემართა.

„დასწყევლოს წმინდა გიორგიმ! ნამდვილად ეშმაკმა მიკბინა, ნამდვილად!.. არა, რა მჯიდა, ვინ გამომიწვია ქვეყნის ვექილად!.. კოსტრიულინი უთუოდ წამოიყრანტალებს უფროსთან, უთუოდ!.. ჰმ, მერე თითონაც რა ეშმაკურად მკითხა: ალბად, პოლიტიკაზე ლაპარაკობდითო!.. ოოოჰ, შე ჭკუის კოლოფო, —მან თავზე მიიკაკუნა მოღუნული ცერი:—როდის გინდა გონს მოხვიდე, როდის?.. აჰ?.. ნამდვილად ეტყვის, ნამდვილად!.. ეტყვის და... მშვიდობით, საახალწლო ჯილდოვ! ჰმ? ჯილდო!.. იქნება ჯილდო კი არა, ადგილიც... უჰ, უჰ, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!.. რომ ავხირდი მაინც?.. მარა, იქნება, არც კი უთხრას?.. კოსტრიულინი ისეა ფიცხი, თვარა გულით კეთილია, აქის დამახსოვრება არიცის!.. მერე ცოლიც ცოტას მოალბობს... მაგრამ, რისთვის, რისთვის?.. ოოჰ, შე რეგვენო, შე თხის გოდავ, შენა!.. რა გრჯიდა, აბა ერთი მითხარი, რა გრჯიდა?.. ვინ გამოგაწვია"?..

ასეთ უნუგეშო ფიქრებში გართული, გამალებით მიაბიჯებდა და მისი ფეხის ტყაპა-ტყუპი ყრუთ გაისმოდა ტალახიან, უკვე მიძინებულ, ქუჩაში.

**ჭ. უმბაძე.**

ადარ აძლევენ რეაქციის მიერ გამო-ზრდილი ნაძირალები. ამ ნაძირალებმა დაუწყეს ცეცხლისაგან განადგურებულ მცხოვრებთ მუქარის წერილების გზავ-ნა, ფულის თხოვნა და სხვა და სხვა ბრძანების შესრულება. მათ თავზედო-ბას, როგორც იქნა, ბოლო მოუღო და დღემდის მათ შესახებ ყურს აღარა სმენია რა, მაგრამ, საწუხაროდ, კი-დევ გამომძვრალან სოროებიდან მათი მიმდევარნი და შესდგომიან თავიანთ საგმირო მოღვაწეობას. გაუგზავნიათ სამი მუქარის წერილი ადგილობრივ დეკანოზ ერმალოზ გეფხვაძისათვის, რომლის სახლ-კარიც რეაქციის მსხვერ-პლი შეიქნა, და სთხოვენ 12,000 მან. წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდი-ლით ემუქრებიან. ამ ძალოცვილებს ფულის მადა კარგი ჰქონიათ, მაგრამ რად დაივიწყებიათ, რომ ეს დეკანოზი დღეს უკიდურეს გაჭირვებაშია ჩავარ-დნილი. გადახედონ განადგურებულ იმის სახლ-კარს და დარწმუნდებიან, რომ 12,000 მან. პატრონი ასე არ და-სტოვებდა სახლ-კარს. ვინც იცნობს დეკანოზ გეფხვაძეს, მან კარგად უწყის მისი დღევანდელი მატერიალური მდ-გომარეობა. ასეთ კაცს თანაგრძნობა ესაჭიროება და არა მუქარის წერილე-ბის გზავნა. ეჭვი არ არის არც ამ წერილების ავტორები იქნებიან მორე-ულნი და კარგად ეტოდინებათ დეკანო-ზის მდგომარეობა და არც იმ აზრით არის გაგზავნილი წერილები, რომ ვითომ ფული მიიღონ, რადგან ქარ. თული ანდაზისა არ იყოს: „ყვავს რა აქვს, კაჭკაჭს რა მისცესო, მხოლოდ შემაშფოთებლად არის წერილები გა-გზავნილი.

**რიხვა.**

---

**ხონი.** „ახალი სხივის“ მე-34 ნო-მერში მოთავსებულია ხონიდან ბ-ნ დროებით ხონელის წერილი ადგილო-ბრივ წ.-კ. ს. ადგილობრივ განყოფი-ლების წევრთა წლიურ კრების შესახებ. სხვათა შორის კორესპონდენტი ამბო-ბს: „სარევიზიო კომისიამ წარმოადგი-ნა მრავალი სამართლიანი შენიშვნე-ბი“-ო. თამამად შემიძლიან გითხრა, რომ არც ერთი შენიშვნა არა ყოფი-ლა. სარევიზიო კომისიამ მხოლოდ კრების წინ ერთხელ გაიმეორა ის, რაც იყო ნათქვამი ასჯერ ბიბლიოთე-კის ზედამხედველის გრ. ბ. მიერ, რაზედაც სამართლიანი შენიშვნა მისცა ბ-ნ კიკალიშვილმა სარ. კომისიას მე-ტის გულუბრყვილო ერთგულებისათვის. 2. გასულ წლის განმავლობაში 52 წიგნის შეძენაზე გამგეობის პასუხს: „მეტი არ მოხერხდაო“. ბ-ნ დროებით ხონელი ირონიულად იმეორებს და არ უნდა დაიჯეროს, რომ სახსარი არ-საიდან იყო მეტის შეძენისა. საკვირ-ველია დმერთმანი: მთელი წლიწადი ზედამხედველი ბიბლიოთეკისა, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაწანწალებდა, რომ სული შეენარჩუნებია უკანასკნე-ლისთვის, ვინიცის რამდენმა პირმა შეურაცხყოფა მიაყენა ამ პატიოსან კა-ცს, მაგრამ მაინც, მიუხედავად ყოველ მხრივ დაბრკოლებისა, თავის გზას არ გადასცდენია. 3. ბ-ნი დროებით ხონე-ლი ბოლოს სწერს: „არვის კრინტი არ დაუძრავს საწევრო ფულის ერთ მანეთამდი შემცირების წინააღმდეგო“, დრ. ხონელი სცრუობს, რადგან პა-ტონმა გრ. ბ. მთელი საათი ილაპარა-კა იმაზე, რომ საწევრო ფულად სამი მ-ნეთი დარჩეს.

ასე, დროებით ხონელო, მე ის მა-წუხებს, რომ თქვენ დროებით ხონელი ბრძანდებით და მაინც და მაინც არ გაინტერესებთ აქაური საქმეები, ხოლო თუ ჭორებს თავს დაანებებთ, საქმე ბევრია, მობრძანდით და იმუშავეთ!

**ე. მ.**

# სამშობლოს გარეთ

ნაწყვეტები

**პეტერბურგი**

მოძრაობა სტუდენტობაში ჩაჰქრა აღარ არისო, გაიგონებთ ყოველის მხრიდან და ყველასაგან. და განა გასა-კვირველია, რომ მართლაც აღარ არ-სებობდეს ის სულის კვეთება, ის აღფ-რთოვანება, ის სიმხნევე, ის სიძლიერე, რომლის მოწმენიც ჩვენ ვიყავით? თუ კი არის რამე გავლენა ან კავ-შირი პიროვნებისა და საზოგადოების შორის, ჯგუფისა, წრისა და მთელ ხალხის შორის, რადათ უნდა გაგვი-კვირდეს, რომ სტუდენტების დღევან-დელი ცხოვრება უფერული, დინჯი და მიყუჩებული იყოს? საზოგადოებას განსაკუთრებული ბურუსი შემოჰხვე-ვია და ამ ბურუსში აღარა სჩანს მი-სი სახე. გარეშემოც სიბნელეა, სიჩუ-მე, უფერულობა, გულგრილობა და

> დღესაც შავს რაშზედა,
> ცხოვრების მოაზედა
> ჯერაც ვერ ძლეული
> ნავარდობს წყეული
> სატანა, წყვდიადით
> გარშემოხვეული...

ცოტაოდენი სიცოცხლე ემჩნევა მხოლოდ სატახტო და მოზრდილ ქალაქებს, თორემ სოფელი ისევ სიბ-ნელეშია, ისევ სალათის ძილს მოუ-ცავს. რუსეთის ცხოვრება ეხლა წა-აგავს დიდი ღელვის შემდეგ გაყუჩე-ბულ და დადუმებულ ზღვას, რომ-ლის ზედა პირი ოდნავ ინძრევა სუს-ტის ნიავის მიკარებით და ამ მიკარე-ბისაგან გამოწვეული რგოლები ვი-თომ თან და თან ფართოვდებიან, მა-გრამ ნაპირს მაინც ვერ აღწევენ, რომ ჩუმი, ბნელი მიდამო აახმაურონ. ქართულ-ბიზანტიური ანდაზა „დიდს აღმართს დიდი თავდაღმართი მოს-დევსო“ სავსებით ახასიათებს დღე-ვანდელ ცხოვრებას. ამის და მიუ-ხედავად თუ ხანდახან აქა - იქ სიცოცხლის ნიშანს გამოიჩენს სულ-მლაფავი კუთხე, ეს უფრო თავის და-ცვის ნიშანია და არა შემოქმედებით ძალის არსებობისა.

როდესაც ისეთი მწერლები, როგო-რიც არის, მაგალითად, ერთი ახალი, მემარჯვენე მწერალი, ძლიერ ნიჭი-ერი და მკვეთრი კალმის პატრონი, როდიონოვი, ბლომად პოულობენ სოფელში საზარ და საზიზღარ სურა-თებსა და ტიპებს, ადამიანს სასოწარ-კვეთილება იცავს და განვლილი ქა-რიშხალი სიზმრად ეჩვენება. სოცარი სურათები დახატა ზემოხსენებულმა მემარჯვენე მწერალმა თავის რომან-ში, „ჩვენ დანაშაულ“-ში („Наше пре-ступленіе“). ნუ თუ მართლა შესაძ-ლოა, ისე დაბლა დაეცეს ადამიანი, როგორც ამას ავტორი გვიხატავს? ნუ თუ მართლა შეიძლება ადამიანმა იმდენად დაჰკარგოს სახე, რამდენა-დაც ეს ამ მოთხრობაშია აწერილი? ნუ თუ ცხოვრების მიერ არის წარ-მოშობილი ის ტიპები, რომელნიც მოთხრობაში არიან გამოყვანილნი? „ეს ბოდვა არ არის, ეს სიმართლეა“-ო, ნიშნის მოგებით წაუწერია ავტორს თავის მოთხრობის პირველ გვერდზე: „მე მხოლოდ გადმოვწერე, სურათი გადმოვიღე, სხვა არაფერი ჩამიმატე-ბიაო“, გვარწმუნებს მწერალი. ვაი ასეთს სიმართლეს! რა საჭიროა ასეთი სიმართლე, თუ კი ძირიან-ფესვიანად აღმოიფხვრება ის ცოტაოდენი იმე-დიც, რომელიც დარჩენია ადამიანს! უმჯობესია „ბოდვა“, რადგან ასეთ „სიმართლის“ შემდეგ ადამიანს სასო-წარკვეთილება იცავს.

თანამედროვე რუსი კრიტიკოსი ჩუ-კოვსკი „რეჩის“ მე-58 ნომერში რა-დიონოვის წიგნის შესახებ ამბობს: „ყველაფერი ეს (მოყვანილი აქვს სი-მხეცით და ცინიზმით გულ შემზარავი სურათი) დაბეჭდილია ყოვლად საძა-გელ, ყველაზე უფრო ამაღელვებელ ფორმით, დღევანდელ რომანებსა და წიგნებში ყველაზე უფრო ნიჭიერად დაწერილ წიგნში, უცნობის ავტო-რის, რადიონოვის, ცნობილ მოთხრო-ბაში „ჩვენ დანაშაულში“-ო; „ეს იგი-ვე „Вѣхи“-ა, მაგრამ ინტელიგენცი-აზე კი არა, გლეხებზეო“.

მართლაც და, ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ შეიძლება ადამიანს დაეკარ-გოს ყოველივე რწმენა, რწმენა აღდ-გომისა, აღორძინებისა. ზნეობრივად გათახსირება, გონებრივი სიჩლუნგე, თანაგრძნობის დაკარგვა, რწმენის უარყოფა, მგრძნობიარე ნერვების დაწყვეტა, ცინიზმი, ლოთობა, ჩხუბი კაცის კვლა, ქალის გაუპატიურება, ცხედრის შეურაცხყოფა პირისუფალთა თვალის წინ,—ასეთი სურათი გეშლება თვალწინ ამ საშინელ მოთხრობის წა-კითხვის შემდეგ.

II

იმ პირობებმა, რომელმაც ზევით დასახელებული სურათი შექმნა, სა-ზოგადოების მარტო ერთ ნაწილზე როდი იმოქმედა. ასეთ პირობების დროს, ექვს გარეშე, კულტურული მარე უნდა დაცემულიყო, უნდა შე-სუსტებულიყო ცხოვრების მაჯის ცე-მა, და ახალგაზდობასაც (როგორც ინტელიგენციას), რომელიც გატაცე-ბით იყო ჩაბმული საერთო ფერხულ-ში, უნდა შესაფერი დაღი დასჩენო-და. ასეც მოხდა. იმსაკითხებშიაც-კი, რომელიც პირდაპირ სტუდენტობას ეხებოდა, მან ვერ გამოიჩინა ძველე-ბური სიცოცხლე. ახალმა პირობებმა, შებოჭეს, შეავიწროეს საერთო მაჯის ცემა, საერთო ცხოვრება, საერთო სურვილები.

ამ ცოტა ხნის განმავლობაში რამ-დენიმე საჭირ-ბოროტო საკითხზე ჰქო-ნდა მსჯელობა სტუდენტობას.

სხვათა შორის, როგორც მოგეხსე-ნებათ, პურიშკევიჩის უსინდისო სა-ქციელმაც აალაპარაკა პეტერბურგის სტუდენტობა 5 მარტს. ყველას ეხსო-მება ის ინციდენტი, რომელიც ამ მა-სხარა დეპუტატის წყალობით მოხდა სახელ. სათათბიროში სამს მარტს. ეს სხდომა სათათბიროსი ერთი სამარცხვინო ფაქტია, სათათბიროს ისტორიის ფურცლებიდან მკაფი-ოდ გამომეტყველი. ხშირად გა-გვიგონია ტრიბუნიდან მემარჯვე-ნე დეპუტატების უსაზღვრო ცი-ნიზმით აღსავსე სიტყვები; ხშირად გა-გვიგონია მათგან ჯამბაზური აფორი-ზმები ყველასა და ყველაფრის მიმართ. მაგრამ 3 მარტი რაღაც განსაკუთრე-ბულ კატეგორიის სკანდალია. განსა-კუთრებულია იმიტომ, რომ სათათბი-რო პეტერბურგის ზოგიერთ ქუჩას დაემსგავსა. ამ დღეს (3 მარტს) მომხდა-რი ინციდენტი იყო 5 მარტის კრების მიზეზი. მოველოდი ძლიერ სურათს. გვაინტერესებდა ისიც, თუ როგორ დაიჭერდნენ თავს პურიშკევიჩის მო-მხრე ჭეშმარიტ რუსთა კავშირის წევ-რები. მაგრამ მოლოდინი არ გამარ-თლდა. ყველანი შეთანხმდნენ, ყველა აშკარად ჰხედავდა დანაშაულობას, შეურაცხყოფას და ყველანი, ს.-რევ.-დან დაწყებული შენკენამდი, (ჭეშმა-რიტ რუსთა კავშირის მომხრე სტუ-დენტების ბელადი) ერთ რეზოლიუ-ციას მიემხრნენ. შენკენმაც კი პრო-ტესტი განაცხადა. შეიძლება ამ შემ-თხვევის ბრალი იყო, რომ არც პა-თეტიური სიტყვები იყო, არც აღელ-ვება, არც გულის წყრომა, საზღვარს გადასული. ორ საათზე დაწყებული კრება სამზე გათავდა და სტუდენტო-ბა ჩუმად დაიშალა. გულგრილობა აშკარა იყო. თითქოს ყველა ჩვეუ-ლების გამო დაესწრო კრებას, ჩვეუ-ლებისამებრ მიიღო მონაწილეობა კრებაში, ასწია ხელი, ტაში დაუკრა და უცებ, თითქოს მიეჩქარებოდა სად-მე, დასტოვა დარბაზი. ზიზღი პუ-რიშკევიჩს, თანაგრძნობა მილიუკოვს და ოპოზიციას. ამით დავვირგვინდა ეს უფერული ყრილობა. თითქოს გუ-ლის სიღრმეში ყველა ამბობდა, ტყუი-ლად დავკარგე ერთი საათი ასეთ საქ-მისთვისაო...

დიახ, პროტესტი და ზიზღი გამოუ-ცხადეთ, მაგრამ ვის? პურიშკევიჩს. პურიშკევიჩისთვის ეს საამაყო შემთხ-ვევაა. ეს იმისათვის ტრიუმფია, გა-მარჯვებაა. **ისინი** სყრებიან? ჰაა, მაშ მე მართალი მითქვამს და სულ ასე ვილაპარაკებო. აი რას გვეუბნება დე-პუტატის აღვირწახსნილი სილაღე.

მაგრამ, ასეთის სურათის მიუხედა-ვად, უნდა შევნიშნო, რომ სტუდენ-ტობას პესიმიზმი ან სკეპტიციზმი არ მოჰრევია. ინდიფერენტიზმი დიდია, მაგრამ ჯერ კიდევ შორსაა პესიმიზ-მამდე. ენერგია, მართალია შესუსტე-ბულია, მაგრამ იმდენად არა, რომ ვერ შეიძლოს ხმა ამოიღოს და ჩვეუ-ლებრივად, ძველებურად მიიქციოს ყურადღება. მოღლილი, მოქანცული ენერგია ისვენებს, დახარჯული ძალა ნაზღაურდება და როდესაც მიაღწევს ნორმალურ ხაზს, კვლავ შეეცვლება ფერი და შედგენილობაც. დეე, მარ-თალი იყოს რადიონოვი თავის წიგნში დეე, მართლა დაცემული, დაძინებუ-ლი იყოს სოფელი; დეე სტუდენტო-ბა, ინტელიგენციაც გულგრილი, მოდუნებული იყოს, მაგრამ განა ეს უკანასკნელი წამია, უკანასკნელი მომენტია მათის არსებობისა? განა შესაძლებელია გაღვიძება, თუ არ დაიძინებ? განა შესაძლებელია ადგო-მა, თუ კი არ დაეცი? მართალია, და-ცემა და ძილი არ არის სასურველი და აუცილებელი ატრიბუტი საზო-გადოებისათვის, მაგრამ მისი არსებო-ბა არ მოასწავებს სიკვდილს, განა-დგურებას. ასეთ დროში ყველაზე უფრო საშიში სკეპტიკური აზროვნე-ბაა, ყველაზე უფრო დამღუპველი პესიმიზმია, ყველაზე უფრო არა სა-სურველი სასოწარკვეთილებაა და აი, სწორედ ამის წინააღმდეგ არის საჭი-რო ბრძოლა ყველგან და განსაკუ-თრებით ჩვენში.

III

11 მარტს დავესწარი პეტერბურგის ფილოსოფიურ საზოგადოების კრე-ბას. კრებამ მოისმინა ს. ა. ეებელიო-ვის მოხსენება მაქს ვუნდტის წიგნის შესახებ („ბერძნულ ეთიკის ისტო-რია“) და ს. ა. სუხანოვის მოხსენება —„პატალოგიური ხასიათები“ და აირჩია წევრებად ამ საზოგადოებაში პროფ. ა. ა. ცაგარელი და ფილო-სოფიის დოქტორი ს. ა. გესსენი.

მ. ვუნდტი ახალი მეცნიერია და თვით ამ ფილოსოფიურ საზოგადოე-ბის წევრები, გარდა მომხსენებლისა, არც კი იცნობდნენ. საზოგადოების თავმჯდომარემ ა. ი. ვედენსკიმ (ფი-ლოსოფიის პროფ. უნივერსიტეტში) სთქვა, რომ ამ შრომაში, ე. ი. ზე-ვით დასახელებულ წიგნში, სავსები-თა სჩანს ახალგაზდა მეცნიერიო. მხო-ლოდ ახალგაზდა მეცნიერს შეეძლო ასეთ დიდი თემის აღებაო. „როდესაც მე ყურს ვუგდებდი მოხსენებას,—სთქვა ვედენსკიმ:—ვფიქრობდი იმაზე, რომ სოცარი ხასიათის პატრონნი არიან გერმანელები. საბერძნეთის ეთიკის ისტორია... ასეთი თემის აღება დიდი გამბედაობაა და მხოლოდ ახალგაზ-დობისას დაებადება ასეთი სურვილი კაცს.. „ბერძნული ეთიკა“ ბუნდოვანი და ძნელი საკითხია, გამოუცნობელი რამ არის; მხოლოდ აჩრდილივით მოს-ჩანს აქა იქ უბრალო ხაზები, რომლის წყალობითაც სახიფათოა მისი ისტო-რიის დაწერა“-ო.

თვით მომხსენებლის აზრით, ვუნდ-ტის შრომა თუმცა უნაკლულო არ არის, მაგრამ ღირს-შესანიშნავი გან-ძია როგორც ფილოსოფოსთათვის, ისე უბრალო მკითხველისთვისაც. ავ-ტორმა, მართალია, ვერ მოგვცა ის-ტორია ეთიკისა, მაგრამ მისი წიგნი ფაქტების წიგნია, და ამ ფაქტებით მან მშვენიერი ნიადაგი მოუმზადა ამავე სფერაში მომუშავეთ“. მომხსე-ნებელი ტაშის ცემით დააჯილდო-ვეს. კამათი არა ყოფილა.

სუხანოვის მოხსენებაც ფრიად საინ-ტერესო გამოდგა. სუხანოვი პროფე-სორია უნივერსიტეტისა მისი სპეცია-ლური საგანი პატალოგიური პსიხო-ლოგიაა. იგი თავის მოხსენებაში შეე-ხო უმთავრესად პსიხასტენიურ, რე-ზონიორულ და ეპილეპტიკურ ხასია-თებს. გაგვაცნო დაწვრილებით ასეთ ხასიათების წარმოშობის მიზეზი, თვი-სება და შედეგები. დაასურათა თავისი აზრი მხატვრულ მწერლობის გმირე-ბის მაგალითით, განსაკუთრებით დოს-ტოევსკის გმირებით. მოხსენება საინ-ტერესო იყო.

ბოლოს, პრ. ცაგარელი და გესსენი ერთხმად აირჩიეს წევრებად.

**შოთა დ—იანი.**

# სპარსეთი

**რკინის გზების აშენების საქმე.**

როგორც ვიცით, 15 მარტს გაუთა-ვდა ვადა იმ ხელშეკრულობას, რომ-ლის ძალითაც რუსეთს ჰქონდა განსა-კუთრებული უფლება რკინის გზების აშენებისა ჩრდილოეთ-სპარსეთში, და ამ ხელშეკრულობის ნაცვლად ახალი რამ პირობაც არ დაწერილა ამ ორ სა-ხელმწიფოს შორის, ჯერ-ჯერობით მაინც. ეხლა სპარსეთის მთავრობას გადაუწყვეტია, რკინის გზების აშენე-ბის უფლება უცხოელებს აღარ გადას-ცეს და თითონ სპარსეთის კაპიტალის-ტებს ააშენებინოს. პირველ მინისტრს სპეხდარს უთქვამს „რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტისთვის:

„თუმცა მრავალი უცხოელი კაპიტა-ლისტი გვთხოვს კონცესიის მიცემას, მაგრამ სპარსელებს აღარ უნდათ, რომ ჩვენში უცხოელებმა ააშენონ რკინის გზები. სპარსელები თითონ შეუდგე-ბიან რკინის გზების აშენებას. თუ მე-ჯლისი მალე დაამტკიცებს, ერთი ამ ხანაგობა, რომელსაც მე გმეთაურობ, დაუყონებლივ შეუდგება რკინის გზის აშენებას. ეს ჩემი დიდი ხნის ოცნე-ბაა. მე ბევრს ვშრომობდი ამ საქმისთ-ვის რუსის ინჟინერ ბოხტელმანთან ერთად, მაგრამ ჩემი ნატვრის ასრუ-ლებას ხელი შეუშალა ქვა-ნახშირის უქონლობამ: ქვა-ნახშირის მოტანა რუ-სეთიდან მეტად ძვირად ჯდება. ეხლა ეს დაბრკოლება მოისპო: თეირანიდან შვიდი ვერსის მანძილზე აღმოაჩინეს მშვენიერი ქვა-ნახშირის მადნები.

ენზელი თეირან-ხამადანის რკინის გზაში, რომელიც რუსებს ეკუთვნის, ჩვენ გადავიხდით შვიდ მილიონს. სპა-რსეთის მთავრობა ცდილობს, რომ რკინის გზები სახელმწიფოს საკუთრე-ბას შეადგენდეს.

**შეკითხვა რახიმ-ხანის თაობაზე.**

მეჯლისში დეპუტატები რახიმ-ხანის თაობაზე შეეკითხნენ მთავრობას. გა-რეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა მოახსენა მეჯლისსა, რუსეთმა უარი გვითხრა რახიმ-ხანის გაცემაზე იმ საბუთით, რომ იგი პოლიტიკურ დამნაშავედ უნდა ჩაითვალოსო. მე-ჯლისმა ერთხმად დაადგინა, მთავ-რობამ კიდევ და უფრო ბეჯითად უნდა მოითხოვოს გაცემა რახიმ-ხანისა რომელსაც თითონ სპარსეთში მყოფი წარმომადგენლები რუსეთისა სთვლიდ-ნენ უბრალო ყაჩაღად და მის დას-ჯასაც მოითხოვდნენ.

**რუსეთ-სპარსეთის საზღვარზე.**

„ბაქუ“-ს ატყობინებენ ბელასუვარი-დან: „ბოლოს დროს საზღვარზე მე-ტად გახშირდა რუსის ჯარის-კაცებზე დაცემა. მათ თითო-თითოდ ჰხოცავენ საფრებიდან. ზოგი ამბობს, რომ ეს კონტრაბანდისტების შურის ძიებაა; ზოგი კი ჰფიქრობს, რომ ამ დაცემას მჭიდრო კავშირი აქვს სპარსეთ-რუსე-თის ურთიერთობასთან. ჯარის კაცებზე დაცემა ნამდვილი პროვოკაცია არის იმ პირების მხრივ, რომლებიც დაინტერე-სებულნი არიან, რომ ეს ურთიერთო-ბა გამწვავდეს“.

**ასტრაბადში.**

ასტრაბადიდან ცნობა მიიღეს: თურქ-მენთა ველური ბრბოები, რომლებმაც შარშან ამ დროს პანთავის რაიონი და-აძარცხეს, ეხლა ასტრაბადზე დასაცე-მად ემზადებიანო. მათ უნდათ თვით-მპყრობელობის აღდგენა. გუბერნატო-რი გაიქცა. ევროპიელთა დაცვა მიან-დეს რუსის კონსულს. („კ.“)

# შორეულ აღმოსავლეთი

**იაპონია ნავთ-სადგურს აშენებს კორეის სრუტეში.**

ამ მოკლე ხანში იაპონია შეუდ-გება დიდ სამხედრო ნავთ-სადგურის აშენებას კორეის სრუტის ნაპირას, ჩინხაიში. ნავთსადგურთან აშენებუ-ლი იქნება დოკები და ძლიერი სი-მაგრეები. ამ საქმისთვის გადადებუ-ლია 10 მილიონი მანეთი. ახალ სამხედრო ნავთ-სადგურს მეტად დი-დი სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება: იაპონიის ბატონობას—კო-რეის სრუტეში უზრუნველჰყოფს.

**კონსტიტუციონური მოძრაობა ჩინეთში**

გერმანულ გაზ. „პერლინ. ტა-გებლატ“-ის კორესპონდენტი იუწ-ყება პეკინიდან: „ჩინეთის პროვინ-ციალური სეიმები, ეს წინამორბე-დნი საიმპერიო პარლამენტისა, მე-ტად უკმაყოფილონი არიან ეხლან-დელ რეჟიმით. აქ უნდა შევნიშ-ნოთ, რომ სეიმის წევრებში მეტად განათლებული კაცები ურევიან. მა-თის აზრით, რეგენტის დუნე და სუსტი პოლიტიკა დიდ გან-საცდელს უქადის ჩინეთს. სეი-მ-ს წევრები ათასობით ავრცე-ლებენ ხალხში ფურცლებს, რომ-ლებშიაც ამტკიცებენ, რომ ჩი-ნეთს უთუოდ გაიყოფენ უცხო სა-ხელმწიფოები, თუ მთავრობა გინდ ერთი წლით დააგვიანებს კონსტი-ტუციის შემოღებასაო. პროვინცია-ლურ სეიმებს ყველაზე მეტად იმა-ზე მოსდით ჯავრი, რომ რეგენტ-მა სულ რეაქციონერები შემოიხვია თავის გარშემო და ბრმა-ყრუდ უგო-ნებს მათ. აი, ამიტომ არც ერთი კვირა არ გაივლის ხოლმე ისე, რომ პეკინში არ მივიდნენ სეიმების დე-პუტაციები კონსტიტუციის დაწყე-ბის დასაჩქარებლად. დეპუტაციებს პეკინში ყოველთვის კარგად მი-იღებენ ხოლმე, მაგრამ მუდამ ამ პასუხს აძლევენ: „მოითმინეთ კიდევ ორიოდე წელიწადს, ეს არც ისეთი დიდი ვადაა“.

დეპუტაციები ხელცარიელები ბრუნდებიან და გაჯავრებულნი უფრო მეტი აგიტაციას ეწევიან პროვინციებში. ბოლო დროს სეი-მებმა შექმნეს საკმაოდ ძლიერი ორ-განიზაცია, რომლის ცენტრი იმყო-ფება პეკინში. ყოველ წევრს შეაქვს წლიწადში 2 მანეთი. უმთავრესი მიზანი ორგანიზაციისა არის—ბრძო-ლა რეგენტის წინააღმდეგ და საიმ-პერიო პარლამენტის მოწვევის დაჩ-ქარება. ვინც კი ჩინეთში წერა-კით-ხვა იცის, ან განათლება მიუღია, ყველა მიემხრო ამ ორგანიზაციას, რომელსაც ოფიციალურად პატრიო-ტული ლიგა ჰქვიან. მთელ ეხლან-დელ მოძრაობის ბედი დამოკიდე-ბულია იმაზე, თუ ვინ გაიმარჯვებს. პატრიოტული ლიგა, თუ რეგენტი“.


# განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ-ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამო-თი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—68)

**ქუთაისში**

◀ კიწმარაშვილის და ამხ. ▶

**თესლეულობის მაღაზიაში** მიღე-ბულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ ბოსტნეულის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კო-ინდრისა აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურ-ველთ კატალოგი უფასოდ ეგზავ-ნებათ. (25—კვ.—13)

—✦ **ბოთლები** ✦—

ღვინისა და ლიმონათისა 1/16 ვედრ., კარგი ხარისხისა, ახლად მიღებულ იქნა მრავლად **კ. ი. კასაბოვის** საწყობში მიერ. ასი ცალი 7 მან., ათასი—68 მან.

წერილი ამ ადრესით უნდა გამოიგზავ-ნოს: Тифлисъ, Армянскій базаръ, д. Кредитнаго О-ва, N 1. გევორქ იაკობსძეს კასაბოვს. (2—201—2)

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**

**„ნაკადული“**

(წლიწალი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრ-დილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავ-შვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპუ-ლიარული ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი» —ზღაპარი ევალდისა; 2. «მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და“—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვ-რული ანბანი კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მა-ნეთი, ნახევარი წლით ცრივე გამოცემა—ხამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად —შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავ-რცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურობის ქარვასლაში).

# იყიდება

მამული 485 დესიატინა სახნავი და ტყე 6000 მანეთის ბანკის ვა-ლით, რომელიც შეადგენს განსაკუთრებულ ნაწილს, გამიჯნულს „შე-ქევის“ წესით და თავისუფალს ყოველივე დავისაგან. ეს მამული სალი ჰავით, კარგი სააგარაკო ადგილებით, კარგი წყაროებით და პატარა მდი-ნარით ხევში, მდებარეობს 5 ვერსის მანძილზედ წილკნის სადგურიდან, საქართველოს სამხედრო საფოსტო გზისა, და 18 ვერსის მანძილზე რკი-ნის გზის მცხეთის სადგურიდან. იგი შეადგენს 200 დეს. შავს, ურწყავს, სახნავ მიწებს და 285 დეს. ტყეს. ფასზე შეიძლება იკითხონ ტფილისში, რეუტოვის ქუჩაზე, სახლში № 35, სახლის პატრონთან. (3—189—2)




БИРЖА ТРУДА

Верійскій спускъ, тел 178.

ურჩევთ ყველას, მიიღონ ინტელიგენტი მომუშავენი, **ხელზე მოსამსახურე და**

**ყველა**

◀ პროფესიის მუშები ▶

რჩევისათვის ვიღებთ 20 კაპ. მხოლოდ დამქირავებელთაგან.

კანტორა ღიაა დილის 9 საათ. საღამოს 6 საათამდე. კვირაობით და უქმე დღეებში შუადღის 12 საათამდე. (5—გაქ.—5)


სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.